№ 21 29 იანვარი, კვირა

1866—1878

29 იანვარი, კვირა № 21

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირაგოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირაგოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: ...ებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდით გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ყოველ-დღიური გაზეთი

„დროება“

ხელის-მოწერა: თფილისში, რედაქციის კანტორაში (სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირაგოვის სახლებში, № 8).

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი. *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба.“*

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ½ წლის—4 მან. და 50 კაპ., ოთხი თვის—3 მან.

რედაქციისაგან

თუმცა თითქმის მუდამ დღე არის ჩვენს გაზეთში გამოცხადებული, რომ ნახევარის წლის გაზეთის ფასი არის 4 მან. და ათი შაური, მაგრამ ზოგიერთი ხელის-მომწერლები მაინც კიდევ მარტო 4 მანეთს აგზავნიან.

ამის გამო საჭიროთ ვრაცხთ გამოვაცხადოთ რომ იმ ხელის-მომწერლებს, რომელთაც ნახევარი წლის ფასად 4 მანეთი შემოუტანიათ, თუ დანარჩენ ათ შაურსაც არ შემოიტანენ, 1 იენისს მოესპობათ გაზეთს გზავნა.

ტელეგრამმები

პეტერბურღი, 27 იანვარს. „მმართებლობის მოამბეში“ გამოცხადებულია შემდეგი მორიგების პირობები, რომელიც დ. მ. დუნაის არმიის მთავარ-სარდალს გადაუცია ოსმალოს დანდობილ პირებისათვის: ბრძოლის შეჩერება არ შეიძლება, სანამ ოსმალეთი შემდეგ წინასწარ პირობებზე არ დათანხმდება:

1). ბოლგარია უნდა შეიქმნეს სათავადოთ, რომელიც გადაჭრილ ხარჯს მისცემს ოსმალეთს; იმას მიენიჭება საკუთარი სახალხო მმართებლობა, უფლება თავის მილიცია იყოლიოს და ღუბერნატორები ქრისტიანთაგან. ოსმალეთის ჯარი მხოლოთ რამდენსამე ალაგას იქნება აქ დაყენებული.

2). ჩერნოგორიის განთავისუფლება და ზოგიერთი მიწის დათმობა.

3). დამოუკიდებლობა სერბიისა და რუმინიისა. ორთავეს სამზღვრების გაფართოება.

4) ავტონომია ბოსნიისა და ჰერცოგოვინისა. ამგვარივე ავტონომია და ცვლილებების შემოღება ოსმალეთის სხვა-და-სხვა სლავიანურ მიწებშიაც.

5). ოსმალეთი უზღავს რუსეთს, ფულით ან მიწით, იმ ზიანს, რომელიც ამ ომის გამო მიეცა.

დაწვრილებით პირობებზე მოსალაპარაკებლად ოსმალეთის დანდობილი პირები ოდესსაში ანუ სევასტოპოლში უნდა წავიდნენ, საცა დახვდებათ რუსეთის დანდობილი პირები.

პეტერბურღი, 27 იანვარს. ჯერ არ მართლდება ის ამბავი, რომელიც „Polit. Corresp.“ ეწერა, რომ ინგლისისა და საფრანგეთის ფლოტი ერთად მივლენ და დადგებიან სტამბოლთანაო. საფრანგეთის ფლოტს, ამბობენ, ბრძანება მოუვიდაო, რომ ლევანტში წავიდესო.

ვენა, 27 იანვარს. ოსმალეთმა სთხოვ, ევროპის სახელმწიფოებს, საბერძნეთს ურჩიონ თესალიიდამ და ეპირიდამ დააბრუნოს თავის ჯარები. ამასთანავე ოსმალეთი აღუთქვამს, რომ თვითონ ის დაიცავს იმის ხელ-ქვეშ მყოფ ბერძნების ინტერესებს.

ლონდონი, 26 იანვარს. გაზეთები „Daily Telegraph“ და „Morning Post“ გაცხარებულ სტატიებს ჰბეჭდენ და თხუულობენ, რომ ინგლისმა თავის შეურაცხყოფა უნდა გადაუხადოს რუსეთსაო.

რომი, 26 იანვარს. დღეს გარდაიცვალა აქ რომის პაპი პიო მეცხრე.

საქართველო

ჩვენი სასულიერო სასწავლებლები

ორი ფაქტი გამოაშკარავდა თითქმის ერთსა-და-იმავე დროს თფილისის სასულიერო სემინარიისა და ქუთაისის სასულიერო სასწავლებლისა.

აქ, თფილისში, ამ თვის 21-ს გარდაიცვალა ერთი მეორე კლასის შაგირდი ქუთათელაძე; მაგრამ გარდაიცვალა ისეთს მდგომარეობაში და გარემოებებში, რომელნიც საზოგადო ყურადღების ღირსნი არიან და რომელნიც გულ-გაქვავებულ კაცსაც კი შეაძრწუნებენ.

იქ, ქუთაისში, თითქმის ამავე დროს, მასწავლებლებს შუა მოხდა მუშტი-კრივი და თავ-პირის მტვრევა.

პირველი ამ შემთხვევათაგანი—შაგირდის ქუთათელაძის სიკვდილი თქვენ გაზეთებიდამ შეიტყვეთ; შეიტყვეთ თუ როგორ უპატრონოთ ყოფილა სემინარიის საავათმყოფოში სახადით ავათმყოფი ყმაწვილი მიტოვებული, უდოქტოროთ, უფერშლოთ, უმოსამსახუროთ, უმომვლელოთ; შეიტყვეთ—თუ როგორ გამოვარდნილა გარეთ სიცხისაგან გაგიჟებული ყმაწვილი, როგორ დავარდნილა ეზოში და მომკვდარა...

ამისთანა ფაქტებს განმარტება არ ეჭირება; აუხსნელადაც, გაუმარტებლადაც ცხადათ გვიმტკიცებს ეს შემთხვევა, თუ რა ჩინებული წყობულობა, რა მშვენიერი წესები ჰსუფევენ ამ სემინარიაში.

ჩვენ ვიტყვით მხოლოთ იმას, რომ შაგირდის ქუთათელაძის სიკვდილი, სიკვდილი კი არ არის—მოკვლა არის... და ძალიან გვაკვირვებს ის გარემოება, რომ სემინარიის მთავრობა, რომელმანც გაჭრელებულ-გაგრძელებული სტატიები და პასუხები გამოგვიგზავნა ჩვენ, როცა გამხმარ პურზე და აყროლებულ თევზზე ვწერდით, რომ ეს სემინარიის მთავრობა ახლა, როდესაც ამ შესაძრწუნებელ მოვლენაზე ყველა თფილისის გაზეთებში იყო დაბეჭდილი, ერთიოდე სიტყვასაც არ გვიგზავნის თავის გასამართლებლად.

არც მეორე შემთხვევა—ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მოსწავლე ეთა ერთმანეთში ტყეპა არის ისეთი საგანი, რომელსაც განმარტება ეჭირებოდეს. უველასთვის ცხადია ის, რომ ერთი ამისთანა შემთხვევა კმარა შაგირდების თვალში ყოველი ზნეობით მნიშვნელობის დასაკარგავათ და გავლენის მოსასპობელად თვით სამაგალითო მასწავლებლებისათვის; რომ იმ მასწავლებლებს, რომელნიც მხეცივით დაერევიან ერთმანეთსა და ცემა-წეწვას გამართვენ, თავიანთ შაგირდებზე ყოველი პედაგოგიური ზედმოქმედება დაკარგული აქვთ.

ახალი ამბავი არ არის უწესობა და ყოველ-გვარი უთავბოლობა ჩვენს ზემოხსენებულ სასულიერო სასწავლებლებში;

მაგრამ ეს ორი უკანასკნელი შემთხვევა ისეთი ხასიათის არიან, რომ, უეჭველია, ყველას ყურადღებას მიიქცევს.

იმედია, დღეის შემდეგ მაინც ყველა დაიჯერებს და დარწმუნდება იმაში, რომ რასაც ამ სასწავლებლებზე ჩვენს და ტფილისის გაზეთებში სწერდნენ გაზვიადებული და ცრუ ამბები არ ყოფილა.

საჭიროა კონტროლი, რევიზია ამ სასწავლებლებისა; რევიზია კი არა, როგორიც დღემდინ ყოფილა; ნამდვილი, ფიცხელი, სასტიკი რევიზია; ყველა წესების, ყველა შემთხვევების შეტყობა, უფროსებისა და მასწავლებლების ხასიათების გაგება, შაგირდების ცხოვრების, სწავლის და საზოგადოთ მდგომარეობის გაცნობა.

ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ამისთანა სასტიკი და პატიოსანი რევიზია ბევრს რასმე აღმოაჩენს ზემოხსენებულს სასწავლებლებში.

ს. მ.

დღიური

*** თან-და-თან იაფდება თითქმის ყველაფერი ჩვენს ქალაქში, გარდა შეშისა; შეშა კი არ იკლებს ფასს. პურის მაედანზე მეორე ხარისხის ფქვილი გუშინ, როგორც ჩვენს „მაზანდაშიაც“ იყო გამოცხადებული, ფუთი ცხრა აბაზ ნაკლდებათ არ იყიდებოდა, დღეს კი რვა აბაზათ იყიდება. გაიაფდა აგრეთვე სიმინდი, ქერი და ლობიო; ნავთმა ჯერ-ჯერობით ერთი კაპეიკი დაიკლო (14 კაპეიკად იყიდება).

დღეს უკეთესი დღე დადგა ქალაქში; თუ კარგი დღეები დაიჭირა, იმედია, მაშინ ახლო-მახლო სოფლებიდამ უფრო ბლომათ შემოიტანებენ ხორაგსა და შეშას და ცხოვრების გაიაფებას უნდა მოველოდეთ.

შაქრის კიდევ უფრო გაიაფებას უნდა მოველოდეთ, რადგან, როგორც მოგეხსენებათ, მომავალი 2-ს თებერვლიდამ ყირიმსა და ფოთს შუა გემები დაიწყობენ ხელ-ახლად სიარულს და ოდესიდამ ბროცკის შაქარი ბლომათ მოვა.

ჩვენ შევიტყეთ, რომ აქაურ ვაჭრებს თავიანთ პრიკაშჩიკებისათვის დეპეშით შეუთვლიათ ყველგან, განსაკუთრებით ატრიადებში, რომ რაც შეიძლება მალე გაჰყიდეთ შაქარიო...

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ერთი ჩვენი თანამემამულეთაგანი უფ. ვ. პეტრიაშვილი ოდესსის უნივერსიტეტში ქიმიის პროფესორად ამოურჩევიათ. მეორე ქართველი უფ. პ. მელიქიშვილი ამ ჟამად ქიმიის მაგისტრობაზე იჭერს ეგზამენს და აგრეთვე პროფესორობისათვის ემზადება.

*** ამბობენ, ტფილისის სასულიერო სემინარიის მთავრობა ძალიან ცდილობდაო, რომ შაგირდის ჟუთათელაძის სიკვდილი არც იმის დედ-მამისათვის შეეტყობინებია ვისმე, სანამ არ დამარხავდნენ, და განსაკუთრებით არც ტფილისის გაზეთების რედაქტორებისათვის. მაგრამ, როგორც ჰხედავთ, მეცადინეობას ტყვილად ჩაუვლია: რედაქციებმა ეს ამბავი მეორე დღესვე შეიტყეს და მიცვალებულის მამაც ამ დღეებში აქ ყოფილა. ამბობენ, ის ჩივილს აპირებს სემინარიის მთავრობაზედაო. ურიგო არ იქნება....

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ბრიტანიის ბიბლიურ საზოგადოებას მთავარ-მმართებლის სტამბისათვის შეუკვეთნია სხვა-და-სხვა ხასიათის ქართული ასოების ჩამოსხმა და განზრახვა აქვსო, რომ 15,000 ეგზემპლიარი სახარება და თხუთმეტი ათასიც დავითნი დაბეჭდვინოს კიდევ ჩვენი ქვეყნის ღარიბ ხალხში იაფ ფასად გასავრცელებლათაო.

*** სომხურ გაზეთს „მშაკში“ იწერებიან, რომ ამ 22 იანვარს მოსკოვში წარმოუდგენიათ სომხურს ენაზე კომედია „დალალ ღალო“; წარმოდგენაზე დიდძალი ხალხი დაესწროვო.

*** კავკასიის მთებიდამ მოვიდა ამბავი, რომ თოვლის და ზვავისაგან გაფუჭებული გზები გაუწმენდიათ და ახლა ფოჩტა თავისუფლად დაირებაო. მართლაც, დღეს სამი ფოჩტა რუსეთისა და უცხო-ქვეყნის ერთად მივიღეთ.

„დროების“ კორრესპონდენცია

თელავი, 16 იანვარს. (დასასრული). საკვირველია, თითქმის თხუთმეტ-თექვსმეტი წელიწადია მას აქეთ, რაც სოფლის სასამართლოები დაწესდა და როგორ დაიჯეროს კაცმა, რომ სოფლის მოხელეებმა აქამდის ვერა ჩაიგონეს-რა?

მაგრამ ჩამგონებელი ვინა ჰყავთ? თუ სხვები შორს არიან, მაზრის უფროსი ხომ ახლოა. ეტყობა ესეც ძალიან გულგრილად უყურებს გლეხ-კაცების ტანჯვას. ეს აქედგანა სჩანს, რომ ამ დღეებში სოფლის ა—ის სუდის წიგნები გავშინჯე შემთხვევით, და ვნახე, რომ შემოსულ საქმეების ჩასაწერ ჟურნალში არის ჩაწერილი სხვა-და-სხვა გლეხებისაგან შემოტანილი საჩივარი; იმ წიგნში, სადაც უნდა ჩაიწეროს სხვა-და-სხვა პირობის წერილები, არის ჩაწერილი ვიღაც მოვაჭრის ნისიები; წიგნი, რომელშიაც უნდა იყოს ნაჩვენები რაოდენობა მაღაზიაში შეტანილის პურისა და სიმინდისა, სრულებით დაკარგულია. სხვა წიგნები ოთხიხუთი წლის განმავალობაში ხელ-უხლებლათ აწყვია კანცელარიაში ამისათვის, რომ არ იციან—რომელი რა საგნისათვის არის დანიშნული..... დაწვრილებით ნაკლულევანებას შეჰნიშნავს ისა, ვინც თავის ღმერთს შეჰხედავს და ერთორ კვირას ჩამოუვლის სოფლის სასამართლოებსა.

ახლა უნდა მოგახსენოთ—რას შვრებიან სხვა წვრილი მოხელეები, გზირები, ნაცვალი და ხარჯის ამკრეფი. ჯერ ეს უნდა იცოდეთ, რომ იშვიათი დღე გავა, რომ მამასახლისი ერთ-ერთ გლეხთან არ დარჩეს სადილათ, ხან ნებით და ხან უნებურათაც. ნაცვალი მაშინვე მეძებარივით სუნით მიაგნობს და მივა იმავე სახლში, ვითომც საქმისათვის და თითონაც იქ რჩება სადილათ. ცოტა ხანს უკან იმათი მხლებელი გზირებიც იქ გიახლებიან და ვითომც მართლა გაჭირებული საქმე აქვთ, მამასახლისს იკითხავენ, შაქეიფიანებულია და რომელი კანონიერი მოთხოვნილებაც იყოს რამე, იმ დროს სადილს თავს არ დაანებებს და მასპინძელმა უნდა გზირებიც შეიპატიჟოს სახლში... ყოველ დღე ამ ქეიფში არიან და სხვა რა ჯავრი აქვსთ!

ერთის სიტყვით, მთელი სოფელი რომ წყალს მიჰქონდეს ან ცეცხლი ეკიდებოდეს, მოხელეები ყურს არ გაიბერტყამენ, თუ სარგებლობას არ მოელოდებიან.

ტყის მცველებიც, როგორც მეყურება, ამგვარათვე იქცევიან. ამბობენ, ვითომც ზოგიერთი მათგანი შეუნიშნავს უ. ტყის დამცველს თანამდებობის ბოროტ-მოქმედებაში და დაუთხოვნია თანამდებობიდგან. მაგრამ, თუ ამ უფალმა ხშირათ არ დაათვალიერა ადგილობრივი სახელმწიფო ტყეები, მაშინ ახალი მცველებიდგანაც ისევ იმას უნდა ელოდებოდეს, რაც პირველებმა მოიმოქმედეს.

სუდიების შესახებ კიდევ უნდა ვსთქვა, რომ ისინი ძალიან უსაფუძვლოთ მიიღებენ ხოლმე კეთილ-შობილი ხალხისაგან შემოტანილს საჩივარს და გაარჩევენ, ბევრჯელ მოხდება ხოლმე; რომ სუდიები ამ მოჩივრებს აძლევენ აღსრულების ფურცლებსაც; მამასახლისები რომლისამე მიზეზით არ აღსრულებენ და გაებმება მაზრის უფროსთან საჩივარი რომელიც თავდება იმით, რომ უფროსისაგან ეს კეთილშობილები კმაყოფილებას ვერას მიიღებენ, რადგანაც საჩივარი დაუწყვიათ შეუსაბამო ანუ არა-ჯეროვანს სასამართლოში და ამის გამო საქმე სამუდამოთ გაუთავებელი რჩება და ხშირათ სასამართლოში შეტანილის გასესხებულის ბარათიც იკარგება.

„კეთილშობილების“ გასამტყუნრად საჭიროდ ვრაცხ ვსთქვა, რომ იმათ უფრო ხშირად შეაქვთ საჩივრები სოფლის სასამართლოში იმ საგანზედ, რომელზედაც მომრიგებელს მოსამართლეებს დაუნახავს უკანონოთ და გაუმტყუნებია ისინი; აქ კი ეს „გამტყუნებულები“ ზევრჯელ მართლდებიან და „იკარგება ჭეშმარიტება.“

მნახველი

ომის ამბები

შერიგების თაობაზე

ლონდონის გაზეთებში დაბეჭდილია დიპლომატიური მიწერ-მოწერა რუსეთის უცხო ქვეყნის საქმეთა მინისტრს თ. გორჩაკოვსა და ინგლისის მინისტრს ლორდ დერბის შუა, რომლიდამაც სჩანს, რომ ამ უკანასკნელს პირველისათვის უცნობებია, რომ ინგლისისათვის სასურველი არისო, რომ რუსეთის ჯარებს სტამბოლში არ შევიდესო და რუსეთიიმპერატორმა თავის სიტყვა შეასრულომსო, რომ იმასა განზრახვაჰ არა აქვს სტაად

ბოლის დაჭერისო. თ. ზარაკოვს პასუხათ მიუწერია, რომ რუსეთი თავის სიტყვაზე არასოდეს არ გადადგება, ის არ დაიჭერს სიმუდამოთ სტამბოლს; მაგრამ ომიანობის საჭიროება თუ მოითხოვს, რუსეთს სრული უფლება აქვს, რომ დროებით შეიყვანოს ამ ქალაქში თავის ჯარებიო.

— გაზეთს „Indépendance Belge“-ში მოყვანილია სტამბოლიდამ მოსული დეპეშა:

„აქ დარწმუნებით ამბობენ, რომ დროებითი შერიგების პირობები ყაზანლიკში იქნება შეკრული რუსეთსა და ოსმალეთს შუა და საბოლოოთ შერიგების კი ადრიანოპოლში.

„ოსმალეთი წინაღმდეგია იმისა, რომ რუსების ჯარები სტამბოლში შემოვიდნენ და აქვე მოხდეს შერიგება. ამბობენ, რომ ამ პირობით შერიგებაზე არც ინგლისი და ავსტრია დათანხმდებიანო.

აზიის ბრძოლის ველიდამ

იმ უბედურს შეტაკებაზე, რომელიც მობულეთის ატრიადს ჰქონდა ოსმალოებთან 18 იანვარს ციხის-ძირთან, პეტერბურლის გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამმა დიდის მთავარის კავკასიის ნამესტნიკისა:

„რადგან ცნობა მოგვივიდა, რომ ოსმალოებმა ერთი ნაწილი ბათუმის ატრიადისა სტამბოლში გაგზავნესო, ამის გამო ქობულეთის ჯარებმა ბრძანება მიიღეს, რომ ბათუმისაკენ გაწეულიყვნენ.

„18 იანვარს, დილის 5 საათზე, ჩვენი ჯარები იერიშით მიადგნენ ციხის-ძირთან გამაგრებულ ჯარების მარცხენა და შუა მხარს. ჩვენებმა აიღეს ერთი ნაწილი სამების მთისა; მაგრამ შუა ალაგას ჩვენს ჯარს დიდი დაბრკოლება მიეცა განსაკუთრებით მდ. ქინტრიშთან გადასვლის დროს, როდესაც მტერმა საშინელი ზარბაზნისა და თოფის სროლა შექნა.

„მტრის ჯარები აქ უფრო მომეტებული აღმოჩნდა, ვინემ ჩვენ გვეგონა. 2 საათზე ჩვენები ისევ თავის ძველს პოზიციაზე დაბრუნდნენ.

„ჩვენი ზარალი ჯერ ცნობაში არ არის მოყვანილი. ამ შეტაკებაში, სხვათა შორის, მოკვიკლეს ღენ.-მაიორი შელემეტიევი.“

—

ლონდონის გაზეთს „Times“-ში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა 17 იანვარს სტამბოლიდამ მიღებული:

„ზობარტ-ფაშა ათი ბატალიონი ჯარით მოვიდა ბათუმიდამ სტამბოლში. ამ დღეებში ბათუმის კორპუსის უფროსს დერვიშ-ფაშასაც მოელიან აქ.“

—

ვენის გაზეთს „Presse“-ში დაბეჭდილია ალექსანდრაპოლიდამ მიღებული კორრესპონდენცია, რომლის ავტორი გვაცნობებს, რომ ყარსში, ალექსანდრაპოლში, ჰასსან-ყალეში და არზრუმთან (დევე-ბოინის ახლო-მახლო სოფლებში) რუსის ჯარიდამ სულ 25,000 (ოც-დახუთი ათას) კაცზედ მეტი არის ავათ, მომეტებული ნაწილი სახადით და აგრეთვე სხვა ავათმყოფობითაო.

ევროპის ბრძოლის ველიდამ

—

„მართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია უმაღლესი ბრძანება, რომლის ძალითაც რუსეთში უნდა მოგროვდეს 44 ახალი ქვევითა ბატალიონი და შესდგეს 4 დივიზია თავის 16 ბატარეიით.

—

ლონდონიდამ მოვიდა ამბავი, რომ ოსმალეთის ფლოტის უფროსს ზობარტ-ფაშას მინდობილი აქვს ზღვის მხრით დაცვა სტამბოლისა; იმის განკარგულებაში ხომალდებზე 2,000 კაცი არისო.

—

ინგლისური გაზეთი „Standard“ გვაცნობებს, რომ ინგლისიდამ ამჟამად დიდძალი სხვა-და-სხვა საომარი მასალები იგზავნება ხმელთა-შუა ზღვაში გაჩერებულ ინგლისის სამხედრო ხომალდებისთვისაო.

—

ბელგიურს გაზეთს „Indépendance Belge“-ში მოყვანილია შემდეგი დეპეშა ლონდონიდამ 19 იანვარს მიღებული:

„თითქმის ყველა სამხედრო ხომალდები ოსმალეთისა ამ ჟამად სტამბოლშია მოგროვილი; თვითონ სტამბოლში და იმის ახლო - მახლო ალაგებში (ციხეებში) ოსმალეთს 40, 000 ჯარი ჰყავს.

„სამხედრო რჩევამ, რომელშიაც სხვათა შორის ზობარტ-ფაშაც დაესწრო, გადაწყვიტა, რომ, თუ მორიგება არ მოხდა, უკანასკნელ ღონის-ძიების გამოლევამდინ დავიცვათ ოსმალეთის სატახტო ქალაქიო.

დროებით შერიგებაზე

შეღგა თოფების, ზარბაზნების
ქუხილი, ელვა!...
ქრისტიანების, ოსმალების
შეღგა სისხლის ღვრა!...
და ითქვა სიტყვა, სიტყვა ტკბილი:
„შევისვენოთო!
„და ესოდენი ცრემლი, სისხლი
„ხალხს ვაკმაროთო!...“

—

მთანი და ველნი დაითესნენ
კაცთა ძვლებითა;
მიწანი, კლდენი შეიმუსრნენ
სისხლის დენითა;
ყორნებსაც ერგოთ მათი მძოვრი
სამეჯლიშოთა;
არც ტყის პირუტყვნი დარჩენილან
უნაწილოთა;
და მოლაშქრებით გაძღა მიწაც
ბაუმაძღარი...
ქვეყანა სტირის და ზღის მტერსაც
ცრემლი მდუღარი!

—

ჰე! ღმერთო, ღმერთო! შეისმინე
ვედრება ერის[illegible]
შეიბრალე შენ [illegible]
მათ მადლი ზეცის!
ქრისტიანები, ოსმალები
ორნივ სტირიან;
შებრალებასა, შემწეობას
შემოგტირიან
შეეწიე მათ, შემოქმედო,
შენის მადლითა
ერთმანეთ შორის საიმედო
შერიგებითა.

ყალამაძე

26 იანვარს 1878 წელს
ქუთაისი

ნარევი

ზოგიერთ ლონდონის მდიდარ გაზეთებს თავის რედაქციასა და ინგლისის პარლამენტს შუა თავის საკუთარი ტელეგრაფი აქვთ გაყვანილი. გაზ. „Daily Telegraph“-ს ლონდონიდამ პარიჟამდინა აქვს თავის საკუთარი ტელეგრაფი მავთული გაკეთებული და „Times“-ის რედაქცია კი თითქმის მთელი ინგლისის უმთავრე ქალაქებთან არის ტელეგრაფით შეერთებული. ს

გაზეთის „Daily News“-ის რედაქცია ამით არ დაკმაყოფილდებულა: თავის რედაქციის სადგომიდამ ინგლისის პარლამენტამდინ ახლად მოგონილი ტელეფონი გაუმართავს იმას. ამბობენ, რომ ამ ტელეფონის შემწეობით, „Daily News“-ის რედაქციაში ჩინებულად, გარკვევით ისმოდაო ყველაფერი, რასაც პარლამენტში მინისტრები და დეპუტატები ლაპარაკობდნენო; ეს ამათი ნალაპარაკევი (ბაასი) რედაქციაში დაუწერიათ და მეორე დღეს გაზეთში დაბეჭდილი გამოუციათ. ხსენებული რედაქციის სადგომი პარლამენტიდამ რამდენიმე ვერსზედ არის თურმე მოშორებული.

*
* *

მოგეხსენებათ, რომ ამ წლის პირველი მაისიდამ პარიჟში გაიხსნება მსოფლიო გამოფენა. სხვა გასაკვირველ და სამაგალითო ნაწარმოებთა და ხელობათა შორის ამ გამოფენაზე იქნება გაკეთებული ერთი უზარ-მაზარი აეროსტატი, რომელშიაც, როგორც იწერებიან, ორმოც-და-ათ კაცზე მეტს შეუძლია თავისუფლად ჩასხდომა. ეს აეროსტატი დიდი თოკებით იქნება დამაგრებული მიწაზე; მუდამ დღე რამდენჯერმე აუშვებენ იმას ცაში თითქმის ას საჟენ სიმაღლეზედ იმ განზრახვით, რომ იმაში ჩამსხდარი ხალხი ზემოდამ პარიჟის ცქერით დასტკბესო.

*
* *

ერთი ფრანცუზული გაზეთი გვაცნობებს, რომ ოსმან-ფაშას ძეგლის აგებას უპირებენ ოსმალეთშიო; ხელის-მოწერა არის გამართული და ვისაც რამდენი ჰსურს, სწირავს ამ საგნისთვისაო.

კავკასიის საბებიო ინსტიტუტი

მშობიარე ქალები მიიღებიან ყოველთვის დღე და ღამე; ფასი დღეში 50 კაპ., ღარიბები უფასოთ მიიღებიან.

ცალკე ოთახების ქირა თვეში 30—50 მანეთამდის არის.

მიღება ავათმყოფი ქალებისა და ყმაწვილების.

ქალის ავათმყოფობისათვის:

ოთხშაბათობითა და შაბათობით 12 საათიდამ 1-მდინ—დოქტორი რემერტი.

ხუთშაბათობით 11 საათიდამ 12-მდინ და ვირაობით 10-დამ 11-მდი—დოქტორი შაკოვი.

ბავშვთა ავათმყოფობისათვის:

ოთხშაბათობით 11 საათიდამ 12-მდინ და ვირაობით 10-დამ 11-მდი—დოქტორი ალბანუსი.

ოთხშაბათობით 12 საათზე რჩევაა დოქტორებისა: რემერტის, ალბანუსის და ოლნანოვის.

ინსტიტუტთან ახლად გაიხსნა განყოფილება, რომელშიაც საქალებო ავათმყოფობას არჩენენ. ამ განყოფილების საზოგადო ოთახში ავათმყოფთა უნდა აძლიონ დღეში—50 კაპ., ცალკ-ოთახებში კი დღეში—1 მან.

თფილისის სამკურნალო

(4-ს აპრილის სახსოვრად)

ერევნის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8 საათიდამ დილისვე 10 საათამდინ.

ორშაბათს; ექიმი მინკევიჩი—ხირურგიულ ავათმყოფობისათვის, ბარალეევიჩი და ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

სამშაბათს: ვერმიშევი და მაკაროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის, თამამშევი—თვალის ექიმი.

ოთხშაბათს: ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფ., ქიურარიანცი—ვენერიული ავათმყოფობისათვის,

ხუთშაბათს: ვერმიშევი-შინაგან ავათმყოფობისათვის.

პარასკევს: ლისიცევი და ასატუროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის და —ხირურგიულისთვის.

შაბათს: ვერმიშევი და მარკაროვი—შინაგანი ავათმყოფ., ქიურარიანცი—ყურის და ხირურგიულ ავათმყოფობისათვის და თამამშევი—თვალის ავათმყოფობის.

ახალი ტაქსა ბირჟის იზვოსჩიკებისა

ქალაქის რჩევამ მიიღო მხედველობაში ქირის და თივის სიძვირე და ამის გამო ამ პირველ ქრისტეშობისთვიდამ დანიშნა შემდეგი დროებითი ტაქსა:

	ფაეტონის	დროჟკის
ერთი გზა	40 კაპ.	25 კაპ.
საათი	80 „	55 „
ქალაქიდამ—ნავთლულს	80 „	50 „
— მუშტაიდამდინ —	60 „	45 „
— მუშტ. და უკან 1/2		
საათი გაჩერება 1 მან.	20 „	90 „
რკ. გზიდამ ნავთ.—2 „ —	„ 1 მან.	50 „
—დამოკნამდინ— 1 „	50 „ 1 „ —	„
—ქალაქ. ყველგან 1 „ —	„—„	70 „
რკ. გზამდინ ქალაქ.— „	80 „—„	50 „
— ნავთლულიდამ 1 „	50 „ 1 „ —	„
რკინის გზამდინ და		
უკან — — —1 „	30 „—„	90 „

შენიშნვა ა). ორ ფუთამდინ ბოგაჟისათვის იზვოსჩიკს არ შეუძლია, რომ რამე გამოართვას ვისმე.

შენიშნვა ბ). ნაშუალამეევის ტაქსა იგივე დარჩება, რაც ახლა არის ე. ი. ფაეტონის—ერთი გზა—60 კაპ., საათის 1 მან. და 20 კაპ., დროჟკის—40 კაპ. და საათის—80 კაპ.

განცხადებანი

ქართული სახალხო სიმღერები
შეგროვილი და გამოცემული
ზაქ. ჭიჭინაძისაგან.
წიგნი პირველი.
ფასი ყველგან ერთი შაური

კავკაზიის სამეურნეო საზოგადოებაში ისყიდება ბრუნოვად-სალი ჭიის თესლი, ყვითელი, იტალიის ჯინისა; სულ გასასყიდლად არის 14 გირვანქა, და ისყიდება **მისხალი ექვს შაურად** გაგზავნით საიდამაც კი მოითხოვენ ქავკაზიაში. ერთს პირს 10—50 მისხალზე.

ვისაც ამ აბრეშუმის თესლის შეძენა ჰსურს, უნდა მიმართოს ხსენებულს საზოგადოებას მიმავალ მარტის პირველ რიცხვამდინ, თან უნდა გამოგზავნოს ფული და თავის დაწერილებული ადრესი.

ეს თესლი მოტანილია მილანიდამ 1876 წელს ოფ. ზეიდლიცისაგან და 1877 წელს ფონ-ბახისაგან გაზდილის ჭიისა არის, რომელიც ჩინებულად მოშენდა თფილისის მახლობლად და ავათმყოფი ჭიები სრულიად არ ყოფილა. 15 მისხლის თესლიდამ ფონ-ბახმა გააკეთა სამი ფუთი და ნახევარი პარკები, რომლისგან გამოვიდა 15 გირვანქა თესლი.

ამ თესლის პარკები საზოგადოების მუზეუმში არის საქვეყნოდ გამოფენილი.

ჩაის მაღაზია

პ. ვ. პოპოვისა,

რომელიც იმყოფებოდა ბალავინის პროსპექტზე, შოიევის სახლებში, ამ ჟამად გადატანილია **ერევნის მაედანზე, ტერასატუროვის სახლებში.** პატივი მაქვს ვაცნობო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ვისაც კარგი, სუნნოვანი ჩაი ნებავს, მომართოს პირ-და-პირ ჩემთან.

თფილისის მეორე გილდიის ვაჭარი
რაჟდენ ბედინიძე

ვისაც ჰსურს თავის **რქიანი საძოელი და ლოკრები მარგებელი საკვებით ამოაჩინოს,** შეუძლიან მიმართოს **ბორჯომის** არყის ზაოდში.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი . .	11	58	9	43	2	40	1	23
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია .	7	41			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	9	40			9	75	5	42
ფოთი . .	9	13						
ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
ყვირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

	მ.	კაპ
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
ბორს, დუშეთს, სიღნაღს	-	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ქუთაისს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთის აკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

	კაპ.
წიგნის გაგზავნა რუსეთში	
და სამზღვარ გარეთ:	
ერთ წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

ბირჟა

	მან.	კაპ
პეტერბურგი, 26 იანვარს.		
ერთი ჰანეთი ლირს:		
ლონდონში 23 ბენსი.	—	78
პარიჟში 263 სანტიმი.	—	62
მსკონტი (სარგებლისფასი)	7 1/2	—
ბანკის ბილეთი 5%	96	50
მოგებანი (პირველისა)	238	25
მოგებანი (მეორე სესხი)	233	50
ბირაოს ფურცლები:		
თფილ. საზნ. ბანკისა.	—	—
ხერსონის ბანკი	83	25
მოსკოვის . .	83	50
აქციები:		
ოდესის საკავშო ბანკის	177	—
ფოთი-თფილ. რკინ. გზის	—	—
შავი ზღვის ცეცხ. ვემეგის	527	—
ქავკაზის და მერკურის . .	225	—
პირვ. საზღვევ. საზოგ.	745	50
პეტერბ. საზღვევ. საზ.	235	50
მოსკოვის საზღვევ. საზ.	268	—

მაზანდა

	მან	კაპ
თფილისი. 28 იანვარს:		
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფუთ.	2	15
ფქვილი წითელი . .	1	80
ქერი ფუთი . . .	1	55
ბამბა ერევნისა, ფუთი .	8	20
—ამერიკისა, ფუთი . .	8	40
ბაპენტილი ბამბა ფუთი.	12	—
მატყლი თუშური ფუ.	8	20
—თარაქამისა ფუ. .	4	80
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	—
ქონი, ფუთი. . .	6	—
ქონის სანთელი ფუთი.	8	—
სტეარინის სანთელი, ფ.	14	30
ხოცი ძროხისა, ლიტ.	—	90
—ცხვრისა, ლიტრა .	—	90
სპირტი, გრადუსი .	—	15
შაქარი, ბროც. ფუთი .	8	80
—ფხვნილი ფუთი . .	8	—
ყავა გრგვალი, გირვ. .	—	80
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	14	—
ოქრო 1/2 იმპერიალი. .	8	10

Дозволено цензурою Тифлисъ, 28 Января 1878 г. Типографія Меликова. ბეჭდავს ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.